ტექნიკური მახასიათებლები

1. **ბანკნოტების სათვლელი მანქანა - 50 ცალი**

მოთხოვნები:

- თვლის სიჩქარე მინიმუმ 700 ბნ/წთ;
- ჯიბეების რაოდენობა მინიმუმ 3 (ჩასატვირთი, ნამდვილი, საეჭვო);
- ჩასატვირთი ჯიბის ტევადობა - მინიმუმ 300 ბანკნოტი, ნამდვილი ჯიბის - მინიმუმ 200 ბანკნოტი, საეჭვო ჯიბის - მინიმუმ 50 ბანკნოტი;
- სენსორულმა სისტემამ უნდა შეამოწმოს ბანკნოტის ნომინალი, ზომები, სისქე, ინფრაწითელი, ულტრაიისფერი და მაგნიტური დამცავი ნიშნები.
- სერიული ნომრის წაკითხვა და შედარება;
- შერეული ბანკნოტების დათვლა მთლიანი თანხის გამოყვანით, ასევე ცალ-ცალკე დახარისხება, ნომინალის, ემისიის და ორიენტაციის მიხედვით;
- გარე ეკრანისა და პრინტერის მიერთების საშუალება;
- კვება: ერთფაზიანი ძაბვა 220–240 ვოლტი + –10%. სიხშირე 50 ჰერცი + – 5%.

გარანტიები:

- საგარანტიო პერიოდი არანაკლებ 12 თვისა;
- საგარანტიო პერიოდის განმავლობაში სათადარიგო და ადვილად ცვეთადი ნაწილებით უფასო მომარაგება;
- მანქანების სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება განთავსების ადგილზე;
- 5 წლის განმავლობაში სათადარიგო ნაწილებით მომარაგება თითქმის უცვლელ (სტაბილურ) ფასებში.

დამატებითი ინფორმაცია:

- ტენდერის ვადა განისაზღვრება 2017 წლის 15 მაისიდან 2017 წლის 22 მაისის ჩათვლით;
- ტენდერში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია მომწოდებელი იყოს რეგისტრირებული შემდეგ მისამართზე www.tenders.bog.ge;
- აირჩიოს ტენდერი და შემოთავაზებული ფასი მიუთითოს შესაბამის გრაფაში, პროდუქტი #1-ის გასწვრივ;
- პრეტენდენტის მიერ ასატვირთი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით;
- შემოთავაზებები მომწოდებლისათვის გახდება ანონიმური ტენდერის დასრულებამდე 3 საათით ადრე.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- კომპანიის მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია, საქმიანობის მოკლედ აღწერილობა (გამოცდილება, კლიენტების სია), რეკომენდაციები;
- კომპანიის სერთიფიკატები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით ლადო სიჭინავას 599 740 041;